

„ოქროს ციებ-ცხელება“,

პროცესი, რომელმაც მსოფლიო შეძრა

გაზეთი “ყველა სიახლე” – 24-30 აგვისტო, № 33, 2011.

„ოქროს ციებ-ცხელება“ – ამ სიტყვებით შეიძლება დავახასიათოთ პროცესი, რომელიც ბოლო ხანებში მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს და ჩარლი ჩაპლინის გენიალურ ფილმთან არანაირი კავშირი არა აქვს. საქმე ის გახლავთ, რომ ოქროს ფასი კატასტროფულად მატულობს. ეს კეთილშობილი ლითონი გაძვირდა საქართველოშიც. რა იწვევს ოქროს არნახულ გაძვირებას? – ამ კითხვით მივმართეთ ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორ, პროფესორ ლადო პაპავას:

– დღეს მსოფლიო სავალუტო კრიზისის წინაშე დგას. ეს კრიზისი ყველაზე მეტად დაეტყო ორ, ყველაზე გავრცელებულ ვალუტას – ეს არის აშშ-ის დოლარი და ევრო, ორივე მათგანი დღეს სერიოზული დარტყმის ქვეშ იმყოფება. მკითხველს შევახსენებ, რომ ა.წ. 2 აგვისტომდე იყო ბოლო ვადა, რომ აშშ-ს თავისი სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარი გაეზარდა, წინააღმდეგ შემთხვევაში ქვეყანას დეფოლტი ემუქრებოდა. ასევე, მკითხველს შევახსენებ, რომ ივლისის ბოლოს გაიმართა ცხარე დებატები დემოკრატიკური ობამასა და რესპუბლიკელ კონგრესმენებს შორის. ეს დებატები პოლიტიკური ხასიათისა უფრო იყო, ვიდრე ეკონომიკური: დემოკრატებსაც და რესპუბლიკელებსაც კარგად ესმოდათ, რომ დეფოლტის განხორციელება კატასტროფა იქნებოდა არა მარტო ამერიკისათვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაც, მაგრამ ამ დებატებით რესპუბლიკელებს სურდათ ეჩვენებინათ, რომ ობამა უუნარო მმართველია. რესპუბლიკელები ობამას სთხოვდნენ, უარი ეთქვა თავის სამედიცინო და და სხვა სოციალურ პროგრამებზე, თავის მხრივ, ობამა მოითხოვდა მაღალშემოსავლიანი ფენისათვის საგადასახადო ტვირთი გაეზარდათ, რაც ძირეულად ეწინააღმდეგება რესპუბლიკელების იდეოლოგიას. საბედნიეროდ, კონსენსუსს მიაღწიეს და 1 აგვისტოს მიიღეს გადაწყვეტილება სახელმწიფო ვალის ზედა ზღვრის გაზრდის თაობაზე. ამან პრაქტიკულად დეფოლტისაგან იხსნა აშშ-ი, მაგრამ სავალუტო ბაზრებსა და საფონდო ბირჟებზე სერიოზული რყევა გამოიწვია. ამას მოჰყვა ამერიკის რეიტინგის დაქვეითება და ნდობა დოლარის მიმართ საგრძნობლად შემცირდა.

– ბატონო ლადო, რა გავლენა იქონია ამ კრიზისზე ევროზონის ქვეყნებში შექმნილმა სიტუაციამ?

– ევროზონაშიც საკმაოდ რთული მდგომარეობაა: კრიზისი საბერძნეთში, რომელიც არ დასრულებულა, საბერძნეთს შემდეგ დაემატა პორტუგალია, ესპანეთი და იტალია. პრობლემები აქვს საფრანგეთსაც... საბოლოო ჯამში ეს უარყოფითად აისახება ევროს სტაბილურობაზე. როდესაც ორი გლობალური ვალუტა კრიზისის საფრთხის წინაშე დგება, ინვესტორები გაურბიან ამ ვალუტებს და ცდილობენ ინვესტიციები განახორციელონ უფრო მყარ ფასეულობებში, რომელთა ღირებულებასაც ნაკლები პრობლემები შეექმნება. ასეთი ფასეულობები როგორც წესი არის ოქრო და უძრავი ქონება. ოქროზე მოთხოვნის გაზრდამ მისი მყისიერი გაძვირება გამოიწვია. ეს პროცესი არ შეჩერდება და აუცილებლად გაძვირდება უძრავი ქონება, მიწა, სახლები – ანუ ის ის ფასეულობა, რომელსაც კრიზისი ვერ აზარალებს.

– ესე იგი ევროც საფრთხის ქვეშაა?

– რა თქმა უნდა, როგორც დოლარი, ასევე ევროც სერიოზული საფრთხის ქვეშ არის. მე ჯერ არაფერი მითქვამს იაპონურ იენზე, რომელიც არანაკლები პრობლემების წინაშე დგას – შეგეხსენებათ, 2011 წელს იაპონიაში მოხდა დიდი ეკოლოგიური კატასტროფა, რის გამოც ამ ქვეყანას დამატებითი ხარჯების გაწევა დასჭირდა და იაპონიამაც გაზარდა სახელმწიფო ვალის ზედა ზღვარი. დღეს მსოფლიოს ყველა ძირითადი ვალუტა საფრთხის წინაშე დგას, ამიტომაც სავალუტო სფერო მთელ მსოფლიოში ძალიან დაძაბულია. ასეთ დროს ფასების ზრდა ოქროსა და უძრავ ქონებაზე ჩვეულებრივი მოვლენაა.

– ოქრო საქართველოშიც გაძვირდა. თუ შარშან გრამი ოქრო 40 ლარი ღირდა, წელს მისმა ფასმა 47 ლარს მიაღწია. ეს შინაური ფაქტორებითაც ხომ არ არის გამოწვეული?

– საქართველო გლობალური თვალსაზრისით ნამდვილად არ წარმოადგენს სერიოზულ მოთამაშეს, რაც ქვეყნის ეკონომიკის მცირე მასშტაბებით არის განპირობებული. იმავედროულად საქართველოს ეკონომიკა გლობალური პროცესებისაგან ისევე სუსტად არის დაცული, როგორც ნებისმიერი სხვა ქვეყნისა. მით უმეტეს, დოლარიზაციის პროცესი ჩვენში საკმაოდ ინტენსიურია. ჩვენს მოსახლეობას ხშირად აღელვებს კითხვა – რაში შეინახოს თავისი დანაზოგი – დოლარში, თუ ევროში. ჩემთვისაც არაერთხელ დაუსვამთ ეს კითხვა. გამოგიტყდებით, დღეს ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ძალიან რთულია იმიტომ, რომ დოლარიც და ევროც საკმაოდ დასუსტდა. ამიტომ, დღეს ადამიანი ყველაზე მეტად

დაცული იქნება, თუ თავის დანაზოვს ნაკლებად გაუფასურებად ქონებაში შეინახავს, ასეთი კი ოქრო და უძრავი ქონებაა. საქართველოში ოქროს გაძვირება სრულიად ბუნებრივი პროცესია. თქვენ იცით, რომ ქვეყანას კურსი აქვს ადებული ტურიზმის ხელშეწყობისაკენ. რაც უფრო მეტი ტურისტი ჩამოვა საქართველოში და დაინახავს, რომ აქ ოქრო სხვა ქვეყნებთან შედარებით იაფია, ის მაშინვე ხდება ოქროს პოტენციური გამტანი, რაც ოქროს კიდევ უფრო გააძვირებს.

– ბატონო ლადო, ჩვენ ვიცით, რომ საქართველოში მხოლოდ ოქროს მადანს მოიპოვებენ, უკვე მზა ნაკეთობები კი უცხოეთიდან შემოაქვთ. როგორ შეაფასებდით ამ სიტუაციას?

– დიახ, აქ მხოლოდ მადნის წარმოება და პირველადი დამუშავება ხდება, შემდეგ კი ის საექსპორტოდ გააქვთ. საერთოდ კარგი იქნებოდა, რომ საქართველოში ყოფილიყო ოქროს მოპოვების, დამუშავებისა და მისგან სხვადასხვა ნაკეთობის წარმოების სრული ციკლი. როდესაც ქვეყანას აქვს ოქროს თუნდაც მცირე მარაგი, საჭიროა, რომ ამ ქვეყანაში სრული ციკლი არსებობდეს. თუმცა, სამწუხაროდ, საქართველოში არსებული ოქრო დღეს ჩვენს ხელთ აღარ არის. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ მადნეულში სპილენძისა და ოქროს მოპოვება და წარმოება შეისყიდა რუსულმა ჰოლდინგმა „промышленные инвесторы“. დღეს ამ სფეროს პრაქტიკულად რუსული ჰოლდინგი აკონტროლებს. დღევანდელმა, კრიზისულმა ვითარებამ კიდევ ერთხელ გვაჩვენა, თუ რატომ არ შეიძლება სტრატეგიული ობიექტების ასე ბრმად გასხვისება. პრივატიზაციის პროცესის წინააღმდეგი არა ვარ, მაგრამ არ მესმის, როდესაც ქვეყანას აქვს ასეთი სერიოზული რესურსი და ხელში უგდებს ისეთ ფირმას, რომელიც მტრულად განწყობილ სახელმწიფოს ეკუთვნის. დღეს გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში ვიქნებოდით, თუ საქართველო არ იქნებოდა ოქროს გადამამუშავებელი, და არა უბრალოდ მომპოვებელი ქვეყანა. უკვე გადამამუშავებელი ოქროსა და მზა ნაკეთობების ექსპორტი სერიოზულ შემოსავალს მოგვიტანდა. ახლა კი, ეს არის ცნობილი რუსული ჰოლდინგის ბიზნესი, რომლის უკანაც დგას საკმაოდ მდიდარი პიროვნება – ვინმე გენერალოვი. არიან თუ არა ამ საქმეში ჩართული ქართველები, ან რა ურთიერთობა შეიძლება არსებობდეს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებასა და ამ წარმოების მფლობელებს შორის, ძნელი სათქმელია.

– ბატონო ლადო, დავუბრუნდეთ ოქროს ფასს, არსებობს პროგნოზი, რომ 2014 წელს უნცია ოქროს ფასი 2500-3000 დოლარამდე გაიზრდება, ხოლო 2050 წელს მისი ფასი 5 ათას დოლარსაც კი მიაღწევს...

– ჩემი აზრით, ასეთი პროგნოზები არასერიოზულია. ოქროს ფასი მოიმატებს, მაგრამ იმის წინასწარმეტყველება, რა იქნება 2014 წელს და მით უმეტეს, 2050 წელს, ცოტა არ იყოს, ღიმილისმომგვრელია. მსოფლიოში უამრავი რთული პროცესი მიმდინარეობს, სერიოზულად დგას საკითხი – იარსებებს თუ არა ევრო. თუ ევროკავშირმა ვერ მოახერხა, ერთიან ბიუჯეტზე გადასვლა, ევროს მომავალი კითხვის ქვეშ დგება, რაც კიდევ უფრო გაზრდის ოქროზე მოთხოვნას. ჩემი აზრით დოლარს უფრო ნაკლები პრობლემები აქვს იმიტომ, რომ მის უკან ერთი სახელმწიფო დგას, ხოლო ევროს ბედს რამდენიმე პოლიტიკური სუბიექტი განსაზღვრავს.

– თუმცა, კაპიტალის შენახვის ყველაზე სანდო საშუალებად მაინც ოქრო რჩება...

– დღეს ოქრო მართლაც არის ყველაზე საიმედო საშუალება, თუმცა ძნელია ითქვას, რა მოხდება წლების შემდეგ. ბოლო ხანებში მსოფლიოში ასეთი მოსაზრებაც გაჩნდა – ხომ არ აჯობებდა კვლავ შემოეღოთ ოქროს სტანდარტი? ვიცი, რომ 1971 წლამდე დოლარი აუცილებლად იყო გამყარებული ოქროთი, 1971 წლიდან ეს წესი შეიცვალა, მაგრამ ახლა უკვე მის აღდგენაზე ლაპარაკობენ, ზოგიერთები უფრო შორს მიდიან და მოითხოვენ ოქროს ფული შემოვიდეს, რადგან ის უფრო სტაბილური იქნება. მე პირადად, ამის სასტიკი წინააღმდეგი ვარ, რადგან ოქროს სტანდარტზე გადასვლამ შეიძლება შეუქცევადი პროცესები გამოიწვიოს. კერძოდ, შეიძლება მსოფლიო ფინანსების მართვა აშშ-სა და ევროკავშირის ნაცვლად ისეთი ქვეყნების ხელში გადავიდეს, რომელთა რეპუტაციაც საეჭვოა. მაგალითად, პოსტსაბჭოთა სივრცეში ასეთი ქვეყანაა უზბეკეთი. ეს ქვეყანა უმდიდრესია ოქროს მარაგით, მაგრამ ავტორიტარული რეჟიმი მართავს. თქვენ წარმოიდგინეთ, როდესაც ავტორიტარული რეჟიმის მქონე ქვეყანა გახდება ოქროს მსხვილი მიმწოდებელი, რა პოლიტიკის გამტარებელი იქნება ის. ამას სჯობია ისევ ვაშინგტონი და ბრიუსელი დარჩეს მსოფლიოს ფინანსური პროცესების სათავეში. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გონივრული პოლიტიკის წყალობით კრიზისი ჩაივლის და სერიოზული კატაკლიზმები მომსწრენი არ გავხდებით.

ესაუბრა ხათუნა ჩიგოგიძე